





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 124 (5154)

1974 წ. 25 ივნისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ამ ფოტოებზე აღბეჭდილია კლასიკურ ჭიდაობაში თბილისის III ტრადიციული ტურნირის დასკვნითი დღის ეპიზოდები. მარცხნივ — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. კუხიანიძეს სომხეთის მოჭიდავეთა სახელით დაბადების 60 და სპორტული მოღვაწეობის 40 წლისთავს ულოცავს სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გ. ვარდანიანი. შუაში — 62 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჯ. მეგრელიშვილი ეფექტურ ილეთს უტარებს ირანელ ხ. კუხკიანს. მარჯვნივ — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გ. კარტოზია 82 კგ წონაში გამარჯვებისთვის ტ[...]ნირის მთავარ პრიზს გადასცემს ი. მაჭავარიანს.

ი. იუნაევის ფოტოები.

●

(ტურნირის დაწვრილებითი ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

## ყველა — პრიზიორთა შორის მორჩილაძე და ორი სენსაცია

მადრიდი, 23 ივნისი. ექვსი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი! სსრ კავშირის „კლასიკოსთა" ნაკრების ათივე წევრმა ჯილდო დაიმსახურა დღეს აქ დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში. პირადი ჯილდოების გარდა, საბჭოთა ნაკრებს გადაეცა მთავარი პრიზი გუნდური გამარჯვების აღსანიშნავად.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: კ. ალექსანდრუ (რუმინეთი), პ. კიროვი (ბულგარეთი), ფ. მუსტაფინი, ა. კაზკაევი, შ. ხისამუტდინოვი (ყველა — სსრ კავშირი), ი. კოლევი (ბულგარეთი), ა. ნაზარენკო, ვ. რეზანცევი (ორივე — სსრ კავშირი), კ. ლოზანოვი (ბულგარეთი) და შ. მორჩილაძე (სსრ კავშირი).

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ვერცხლის მედლები მიიღეს კრასნოიარსკელმა ა. შუმაკოვმა (უმჩატესი წონა), ერევნელმა ა. არუთინოვმა (მჩატე) და მოსკოველმა ნ. ბალბოშინმა (ქვემძიმე). ბრინჯაოს მედალი ერგო ჩემპიონატის დებიუტანტს, თბილისელ ი. ბერიშვილს (მეორე ქვესაშუალო წონა).

გუნდური ბრძოლის სურათი უკვე პირველსავე დღეს იყო ცხადი. საბჭოთა მოჭიდავეებმა დამაჯერებლად აიღეს სტარტი და შეხვედრათა უმრავლესობა ვადამდე დაამთავრეს. ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული ბულგარეთის ნაკრები II ადგილზე დარჩა, III ადგილი წილად ხვდა რუმინეთის გუნდს.

სპეციალისტების აზრით, ამ ტურნირში ორი სენსაცია მოხდა და ორივე თბილისელ მძიმეწონოსანს შ. მორჩილაძეს ეკუთვნის. პირველად მან სრულიად მოულოდნელად წააგო ბრძოლა რუმინელ კოდრიანუსთან. ფინალში კი მორჩილაძემ, ასევე მოულოდნელად, წმინდად მოუგო მსოფლიო ჩემპიონ ტომოვს (ბულგარეთი).

## ტარიელ ჟღენტი ევროპის ჩემპიონია

გუშინ სასიხარულო ცნობა მოვიდა ჟოან-ლეპენიდან (საფრანგეთი), სადაც მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. უკვე დამთავრდა მრგვალ სტენდზე გუნდური ასპარეზობა. სსრ კავშირის კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ტ. ჟღენტი, აგრეთვე, ი. ცურანოვი, ა. ბენეში და პ. ანდრეევი, 600 შესაძლებლიდან 585 ქულა მოაგროვა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

პირადი შეჯიბრება გრძელდება. მერე ბრძოლაში ადგილიდან მსროლელები ჩაებმებიან.

## ლიდერობენ ქართველი მოჭადრაკეები

ტირასპოლი, 22 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა XXXV საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის VI ტურში თ. ხუგაშვილმა ს. იაკოვლევასთან (ალმა-ათა) რეტის დებიუტში ჯერ გაათანაბრა თამაში, მერე ბრძოლა უკეთეს ენდშპილში გადაიყვანა და მე-40 სვლაზე გაიმარჯვა.

გაიმარჯვეს, აგრეთვე, ტ. ფომინამ (ტალინი) — ნ. დრელთან (ლენინგრადი) და ტ. კოსტინამ (მინსკი) — ხ. კრუსიაუკთან (ტალინი).

მ. ჩიბურდანიძის მეტოქე მოლდაველი ოსტატი ბ. მოსიონჟიკი იყო. კარო-კანის დაცვაში მალე გაიცვალა მსუბუქი ფიგურები. თბილისელმა მოჭადრაკემ უპირატესობა მიიღო, მაგრამ მძიმე ფიგურებიან ენდშპილში უზუსტოდ ითამაშა და მოსიონჟიკმა ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ნ. ალაბაბიან (სტეპანაკერტი) — ი. ბერზინიას (რიგა) შეხვედრა. სამი პარტია გადაიდო.

VII ტურში პირველი მარცხი იწვნია ჩიბურდანიძემ. ალმაათელ ოსტატ ა. მუსლიმოვასთან მაიამ უხეიროდ გაითამაშა რეტის დებიუტი, მერე ნაადრევად დაიწყო აქტიური ოპერაციები, რითაც შესამჩნევად დაასუსტა საკუთარი მეფის მისადგომები. მუსლიმოვამ ეს გარემოება კარგად გამოიყენა.

წარუმატებლად თამაშობდა ხუგაშვილიც. მისი პარტია ფომინასთან დაუმთავრებელი დარჩა. შეწყვეტილ პოზიციაში ხუგაშვილმა ყაიმისთვის უნდა იბრძოლოს.

ბერზინიამ მოუგო იაკოვლევას, კოსტინამ — მოსიონჟიკს; ა. კოროსენევმ (ვილნიუსი) — კრუსიაუკს, დრელმა — ა. გოლდმანს (ტაშკენტი). ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. როჟლაპა (რიგა) და ნ. ჩერნოვა (ლენინგრადი). ერთი პარტია გადაიდო.

VIII ტურში ხუგაშვილმა და ჩიბურდანიძემ გაიმარჯვეს. პირველმა ძველინდურ დაცვაში აჯობა ბერზინიას, მეორემ ძნელი ამოცანების წინაშე დააყენა ჩერნოვა, რომელმაც ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება და საათზე ალამი ჩამოუვარდა.

გამარჯვება იზეიმეს, აგრეთვე, კრუსიაუკმა — დრელთან, ალაბაბიანმა — როჟლაპასთან, ზვორიკინამ — იაკოვლევასთან. სხვა პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: თ. ხუგაშვილი — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ჩიბურდანიძე — 6, ტ. კოსტინა — 5 (1), ტ. ფომინა — 4,5 (2).

ტ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## ოფიციალური ცნობები

### მიღება რუმინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ბუქარესტი, 22 ივნისი. დღეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი მეთაურობს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სოციალისტური ქვეყნების განყოფილების უფროსი ვ. ავილოვი და ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში ი. როდნინა.

მიღებას ესწრებოდა რუმინეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. დრაგნესკუ.

საუბრის დროს რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ ილაპარაკა სოციალისტურ მშენებლობაში რუმინეთის მიღწევების შესახებ. მან მოწონებით აღნიშნა, საბჭოთა ქვეყნისა და რუმინეთის ურთიერთთანამშრომლობა ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში, გამოთქვა რწმენა, რომ ეს თანამშრომლობა მომავალშიც წარმატებით განვითარდება.

მიღებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

## რეკორდები... ურეკორდებოდ

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სარბიელზე ათასზე მეტი საბჭოთა მძლეოსანი და ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, გფრ-იდან, მექსიკიდან, კუბიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, შვეციიდან ჩამოსული სტუმრები სამი დღის მანძილზე იბრძოდნენ გაზეთ „პრავდის" პრიზებისთვის. პროგრამაში შედიოდა 32 სახეობა. მონაწილეებმა „პრავდის" პრიზის ბევრი უმაღლესი მიღწევა შეცვალეს, მაგრამ სსრ კავშირის რეკორდები არ გაუმჯობესებულა.

21 ივნისს 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ახალმა ლიდერმა ე. პერევერზევმა („ზენიტი"), რომელმაც იოლად დაამარცხა თავისი მთავარი მეტოქეები — ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ა. მოშიაშვილი (თბილისის დინამოელი სპორტსმენი II ადგილზე გავიდა — 14,2), ე. მაზეპა და სხვები. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ გამარჯვებულის შედეგი მაღალი არ იყო — 13,96.

უროს ტყორცნაში გაიმარჯვა ა. სპირიდონოვმა („ტრუდი") — 73 მ, 86 სმ. ამ სახეობაში IV ადგილზე გავიდა თბილისის დინამოელი ჯ. ფხაკაძე — 69 მ, 30 სმ.

ბოლო დღეს, 22 ივნისს, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო იყო სამხტომის ოსტატთა შეჯიბრება. პირველობისთვის იბრძოდნენ შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული, რიგელი ნ. სინიჩკინი და ლენინგრადელი ა. პისკულინი. ფინალში სინიჩკინმა 16,83 მ გადალახა და გაიმარჯვა. პისკულინი მეორე იყო — 16,64.

400 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში დანარჩენებს ბევრად სჯობდა მოსკოველი ნ. ილინა, რომელმაც სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 52,58.

შუბის მტყორცნელთა შეჯიბრებაში პირველი პრიზი მოიპოვა რიგელმა ვ. ფელდმანისმა — 82,40 მ. სსრ კავშირის რეკორდსმენი და ევროპის ჩემპიონი, ასევე რიგელი სპორტსმენი ი. ლუსისი II ადგილზე დარჩა (რაც დიდი ხანია არ მომხდარა საკავშირო შეჯიბრებებში).

გაზეთ „პრავდის" პრიზის მეშვიდე ტრადიციულ გათამაშებაში შედეგების საშუალო დონე ძალიან კარგი იყო. მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელმა ვ. აბრამოვმა წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე პირველად გადალახა 224 სმ-ზე გადებული თამასა. როგორც მუდამ, საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებენ ბადროს მტყორცნელი ფ. მელნიკი, ბირთვის მკვრელები ნ. ჩიჟოვა და ვ. ვოიკინი. სიგრძეზე ხტომაში მოწონება დაიმსახურეს მოსკოველმა ლ. ალფეევამ (648 სმ) და დონეცკელმა ვ. პოდლუჟნიმ (789 სმ).

მაგრამ, როგორც არაიშვიათად ხდება ხოლმე, კვლავ დაგვწყვიტეს გული სპრინტერებმა. რა თქმა უნდა, ა. კორნელიუკი ბევრად სჯობდა დანარჩენებს (ვ. ბორზოვი არ გამოდიოდა), მაგრამ განა თუნდაც მისი შედეგით (10,5) შეიძლება სერიოზულ საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატების იმედი ვქონიოთ? არადა, მალე საბჭოთა მძლეოსნებს სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩში შეხვედრა ელით უძლიერეს ამერიკელ მორბენლებთან, რომელთა ლიდერმა ს. უილიამსმაც სულ ახლახან მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 9,9. კიდევ უფრო დაბალია მოკლე მანძილებზე მორბენალ ქალთა შედეგები.

როგორც ჩანს, სეზონის სტარტზე გამართული პირველი დიდი შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა ბევრ რამეს უნდა დაუფიქრდეს.

• • •

სურათზე: 110 მეტრზე თარჯრბენის მომენტი.

ა. სემელიკის ფოტო.



# სოციალისტური შეჯიბრების ძალა

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივი თბილისში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ სამმართველოს სპორტული კლუბი „სინათლე“ ახლა საქვეყნოდაა ცნობილი. მაგრამ სახელი და დიდება ერთბაშად არ მოსულა. იგი ყველა თანამშრომლის, ყველა ფიზკულტურულის, შეიძლება ითქვას ფიზკულტურული ორგანიზაციის, საწარმოს დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დაუღალავი შრომის ნაყოფია.

რაკი ერთხელვე გაუგეს გემო ფიზკულტურასა და სპორტს, როგორც სიჯანსაღისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების წყაროს, მერე ყველა ზრუნავდა მისი განვითარებისთვის. თანდათან გაფართოვდა ბაზების ქსელი, იმატა სპორტულ ღონისძიებათა რიცხვმა, ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რაოდენობამ, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოპოვებულმა წარმატებებმა.

თბილისის ტრანსპორტის სამმართველოს ფიზკულტურულ კოლექტივს სსრ კავშირში ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა სპორტული კლუბის წოდება და სახელიც შესანიშნავი დაერქვა — „სინათლე“.

სპორტკლუბის წოდების მოპოვება კოლექტივის უდიდესი წარმატების დადასტურება იყო, ვინაიდან ამ სახელის დასაკუთრებისთვის ფიზკულტურული ორგანიზაცია საკავშირო დებულების ყველა პუნქტს უნდა აკმაყოფილებდეს, ამისთვის კი აუცილებელია წარმატებით ბრძოლა მასობრივ ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის ყველა უბანზე, ბავშვებთან მუშაობის გაშლა, ზრუნვა ბაზების ქსელის გაფართოებისთვის.

როცა სპორტკლუბის სახელის მოპოვებისთვის ბრძოლა დაიწყეს, კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. შრომასა და სპორტში ფიზკულტურელი ფიზკულტურელს ეჯიბრებოდა, დეპო — დეპოს, სამსახური — სამსახურს. ყველა ხალისით ირჯებოდა, ერთ ოჯახად შედუღაბებულ მრავალათასიან კოლექტივს ერთი ფიქრი და საზრუნავი ჰქონდა: სანიმუშოდ მომსახურებოდნენ ყველა თბილისელსა და ჩვენი ქალაქის სტუმარს. ამაში ფიზკულტურა და სპორტი ეხმარებოდათ. კარგად ნაწრთობ, ხავაოჯიშევ ადამიანებს შრომის ხალისიც მუდამ მეტი ჰქონდათ.

ახლა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო 3500-მდე მუშა-მოსამსახურეს იცვლის. მათი ორი მესამედი ფიზკულტურელია. 2000 კაცზე მეტი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ წევრია. ტრამვაისა და ტროლეიბუსის ორსივე დეპოს, ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს, ელექტრომეურნეობისა და ხაზ-ლიანდაგის სამსახურის პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციებიდან იწყება ის წარმატებები, რასაც „სინათლემ“ წლების მანძილზე მიაღწია.

საქართველოს სხვა რომელ სპორტკლუბს ჰყოლია ფეხბურთში ფიზკულტურის კოლექტივებს შორის საკავშირო თასის ოთხის მფლობელი, ან ასეთი ძლიერი მძლეოსნები, რომელი საწარმოს ტანმოვარჯიშეები ყოფილან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონები?

„სინათლე“ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენია. „სპარტაკის“ კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდები თითქმის მთლიანად ტრანსპორტელებითაა დაკომპლექტებული. ტურისტთა დიდ შეჯიბრებებშიც ამ სამმართველოს სპორტსმენებს ბევრჯერ წარმატებით დაუცავთ „სინათლისა“ და „სპარტაკის“ სახელი. ნაკრებში მოჭიდავეები, ველოსიპედისტები, სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც მრავლად ჰყავთ.

რით აღწევენ ამ წარმატებებს ტრანსპორტელები? ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა სამმართველოს თანამშრომლების, მათი ოჯახის წევრების, სპორტკლუბთან არსებული სპორტული სკოლის აღსაზრდელების ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ ყოველწლიურად ორ ტურად (საგაზაფხულო და საშემოდგომო) ეწყობა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რეგულარულად ტარდება სხვა ტურნირებიც. სპორტთამაშების, კრივის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის, ჭადრაკისა და შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭიდაობის დარბაზებს უქმად ერთ დღესაც ვერ ნახავთ. აქ ვარჯიშობენ ტრანსპორტელები, „სპარტაკის“ სპორტსმენები, ხშირად კი — საქართველოს ნაკრების წევრებიც.

სპორტკლუბში ხაზ-ლიანდაგის სამსახურის ელექტროშემდუღებელს გიორგი გიორგიჯაიოვს შევხვდით. მის შესახებ გვითხრეს, მრავალმხრივი სპორტსმენია და კოლექტივისთვის ყველა სახეობაში სარგებლობა მოაქვსო.

— შრომაში როგორია?

— მოწინავეა!

— როგორ ახწრებთ ყველაფერს? — ვკითხეთ ახლა გიორგის.

— სპორტი საწარმოო გეგმების შესრულებაში მეხმარება. თავის მხრივ, შრომა ფიზკულტურისა და სპორტისკენ მიბიძგებს, ვარჯიშის შემდეგ თავს უფრო ლაღად ვგრძნობ ხოლმე. ინტერესს ისიც აღვივებს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვარ ჩაბმული ელექტროშემდუღებელ ოთარ ადამაშვილთან. ჩვენთან ყველა მონაწილეობს სოცშეჯიბრებაში. მაგალითად, ტრამვაის № 1 დეპოს შემდუღებელი თენგიზ იაგორაშვილი, რომელმაც ველოსპორტში სპორტის ოსტატის ნორმატივი შარშან შეასრულა და „სპარტაკისა“ და საქართველოს ნაკრების კანდიდატია, შრომაში კარპუხოვს ეჯიბრება, ტრამვაის № 1 დეპოს ხარატი, პირველთანრიგოსანი კალათბურთელი ვლადიმერ ლაშკო საწარმოო გეგმებს მუდამ გადაჭარბებით რომ ასრულებს, ესეც სოცშეჯიბრების შედეგია.

სამმართველოს სპორტსმენებიდან სხვაც ბევრია შრომაში მოწინავე. დავასახელოთ პირველთანრიგოსანი ძალოსანი, კონდუქტორი გ. კოჩაშვილი, ტროლეიბუსის № 1 დეპოს ელექტრიკოსი ვ. კუზნეცოვი, ფიზკულტურის სახლის თანამშრომელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი მაგიდის ჩოგბურთში ა. სუჯაშვილი, ამ სახეობაში საქართველოს ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი, ელმონტიორი მ. პაპუკაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში ინჟინერ-ეკონომისტი გ. სუთიაშვილი, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

— საწარმოებიდან რომელი დაწინაურდა? — ვკითხეთ ერთ-ერთ მასპინძელს.

— შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას ელექტრომეურნეობის სამსახურმა (უფროსი მ. ურთქმელიძე) აჯობა. წლევანდელი ექვსი თვის შედეგები კი ჯერ არ შეჯამებულა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი არც სამმართველოს შეურცხვენია და გვჯერა, რომ იგი პოზიციებს წლეულსაც არ დათმობს. ახლა აქ 15 სპორტის ოსტატი, 52 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 262 სხვა თანრიგების სპორტსმენი ჰყავთ. მარტო შარშან 41 კაცმა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მხოლოდ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა რიცხვი (111) გვაცოტავა. ეს ამ შესანიშნავი კოლექტივის შესაძლებლობებს არ შეეფერება.

მერე საუბარი წლევანდელ გეგმებზე ჩამოვარდა. შრომაშიც შესანიშნავად აქვთ საქმე და სპორტშიც. წლეულს გეგმით 5 სპორტის ოსტატი უნდა მოამზადონ. სადღეისოდ გეგმა უკვე 60 პროცენტით შეუსრულებიათ, 10 სპორტის ოსტატობის კანდიდატის მაგიერ უკვე 14 მოუმზადებიათ. პირველი თანრიგის ნორმატივი 18 ფიზკულტურელს შეუსრულებია, წლიური გეგმა კი 30 კაცს ითვალისწინებდა.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც სხვაგვარად დაუწყებიათ. ამ საქმეში 420 კაცი ჩაუბამთ. წლის ბოლომდე ნიშნოსანთა რიგები 230 კაცით უნდა გაზარდონ, გასულ ხუთ თვეში კი ყველა ნორმატივი უკვე 110 მშრომელს ჩაუბარებია.

ერთი სიტყვით, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში ფიზკულტურა და სპორტი ხუთწლედის საქსახურში დგას. იგი თავის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტსაც კიდევ უფრო ხელის შეწყობა სჭირდება, რომ აღებული ტემპი არ დაიკარგოს.

სპორტკლუბის ბაზებს მართლაც არა უშავს, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ ისინი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვენ. ეს მით უმეტეს საჭიროა ახლა, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ამ ბაზებს დიდი როლი ეკისრებათ. ჯერ ერთი, „სინათლის“ ფიზკულტურელებს საკავშირო სპარტაკიადის პირველი ეტაპის შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები აქვთ ჩასატარებელი, მეორე ეტაპზე ისინი საქალაქო სპარტაკიადაში უნდა გამოვიდნენ და მომზადება სჭირდებათ, გარდა ამისა ეჭვი არ არის, „სინათლის“ ბაზები ჯერ საქალაქო, შემდეგ რესპუბლიკური ნაკრები გუნდების მზადების ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცევა, კარგ სტუმრებს კი მასპინძლობაც კარგი უნდა გაუწიონ.

ყველა დარბაზის, გასახდელებისა და საშხაპეების რემონტი ჯერ კიდევ შარშან დაუწყიათ და საქმე დროულად თუ არ გაგრძელდა „სინათლის“ ბაზები სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის სამზადისში სპორტსმენებს აღარ გამოადგებათ. სტადიონსაც მიხედვა უნდა.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში მისვლა ერთმა საგანგაშო სიგნალმა გვაფიქრებინა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სამმართველოს ახალ ხელმძღვანელობას (ა. ჩაგანავა) განუზრახავს საჭიდაო დარბაზში, სადაც ორი ხალიჩაა გაშლილი, სასადილო გახსნას.

მართალია, ამ შენობაში თავდაპირველად სწორედ მუშა-მოსამსახურეთა სასადილო იყო, მაგრამ მერე იგი ორმოცდაათიოდე მეტრით სხვაგან გადაიტანეს (ტროლეიბუსის დეპოს დაუახლოვეს). ყოფილი სასადილოს საჭიდაო დარბაზად გადაკეთებისთვის საგრძნობი თანხა დაიხარჯა.

ა. ჩაგანავა სამუშაო კაბინეტში ვინახულეთ. გადაწყვეტილება დაგვიდასტურა.

— ფიზკულტურა და სპორტი მეც მიყვარს. ვიცი სპორტკლუბს ხელის შეწყობა რომ სჭირდება, მაგრამ რა ვუყო იმ 1300 მუშა-მოსამსახურეს, სასადილოს ძველ ადგილზე დაბრუნებას რომ მოითხოვენ, — გვითხრა მან.

ცხადია, ხელმძღვანელი მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დამცველი უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭიდაო დარბაზის ხელახლა სასადილოდ გადაკეთება მხოლოდ ზარალს მოიტანს. ჯერ ერთი, არსებული სასადილო სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მეორეც, ახალი სასადილოს გახსნა სხვაგანაც შეიძლება (მაგალითად, სპორტთამაშების დარბაზის გვერდით, სადაც მშენებლობა უკვე სანახევროდ დასრულებულია). ყოველ შემთხვევაში, სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ორი საჭიდაო ხალიჩის გაუქმება დანაშაულია და ეს იმ თანამშრომლებმაც უნდა იცოდნენ, რომლებმაც თავიანთი უსაფუძვლო ჭირვეულობით სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

ვფიქრობთ, ეს საკითხი უფრო მაღალ ორგანოებში გადაწყდება. ეს მით უმეტეს, საჭიროა, რომ „სინათლის“ ბაზაზე „სპარტაკმა“ სპეციალური კომპლექსური სპორტული სკოლაც გახსნა. სად ივარჯიშონ ამ სკოლის მოჭიდავეებმა?

ო. გელაშვილი.

# მასპინძლობს ვოლგოგრადი

როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ გათამაშებაში I-VI ადგილებზე გასული კოლექტივები განაგრძობენ ასპარეზობას საპრიზო ადგილებისთვის (მათ შორისაა თბილისის „დინამოც“). ცხრილის მეორე ნახევარში მოხვედრილნი VII-XII ადგილებისთვის იბრძოლებენ. სწორედ ამ ადგილებისთვის საასპარეზოდ შეიკრიბნენ ვოლგოგრადში წყალბურთელები.

ორი მარცხი იწვნია მოსკოვის „ტორპედომ“. მან წააგო ჯერ ხარკოვის (2:3), ხოლო შემდეგ — ალმაათის „დინამოს“ (3:6) გუნდებთან. 3 ქულა დააგროვეს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელებმა. მათ ანგარიშით 5:4 მოუგეს ალმა-ათის „დინამოს“, ხოლო ლენინგრადის „ბალტიკასთან“ ფრეს დასჯერდნენ — 2:2. ვოლგოგრადის „სპარტაკმა“ ფრედ დაამთავრა მატჩები ლენინგრადის „ბალტიკასთან“ (4:4) და ხარკოვის „დინამოსთან“ (1:1).

ასპარეზობა გრძელდება.

წყალბურთი

# კარგი საჩუქარი

ამ დღეებში ცხინვალში, ტელმანის ქუჩაზე გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. კლუბის გახსნასა და კეთილმოწყობაში დიდი დამსახურება მიუძღვით ოლქის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ქალაქის საწარმო-დაწესებულებებს, სამხრეთ ოსეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეს, საოლქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ფ. ბეკოევს და საოლქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ა. თედეევს.

კლუბი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, საჭადრაკო ლიტერატურით.

კლუბის საზეიმო გახსნას ლიდძალი ხალხი დაესწრო. მოჭადრაკეებს კარგი საჩუქარი მიულოცეს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჰ. მარდანოვმა და პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. გაბარაევმა.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო ტურნირი ელვისებურ თამაშში, რომელშიც ყველას აჯობა ცხინვალის სკოლა-ინტერნატის მათემატიკის მასწავლებელმა, პირველთანრიგოსანმა რ. ფლიევმა.

ვ. მელქოევი,
(ჩვენი კორ.).



სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ პერვოურალსკის სპორტულ კოლექტივს „ხრომპიკ“ ურალის მუქურას ეძახიან. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისა და მშდ კომპლექსის მასობრივად დანერგვისთვის ეს კოლექტივი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზით დაჯილდოვდა.

„ხრომპიკის“ ფიზკულტურელთა მიღწევები სათანადოდ დაფასდა. პერვოურალსკის „ტრუდის“ ტერიტორიული საბჭოს კოლექტივების დათვალიერება-კონკურსში მათ I ადგილი დაიკავეს.

• • •

სურათზე: 100-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ქარხნის ცვლის ოსტატმა ი. კირიენკომ.

ა. გრახოვის ფოტო.
(საკდესი).

# I ადგილი 5 ტურით ადრე

შაბათს კიევში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლო, მეოთხე წრის შეხვედრები დაიწყო.

იმ დღის მატჩები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — 18:27 (10:13), „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ტაშკენტი) — 28:23 (14:14), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „კუნცევო“ (მოსკოვი) — 37:31 (20:17), ასკ (კიევი) — ცსკა — 29.26 (16:11).

კვირას საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის წარმომადგენლები ანგარიშით 28:27 (16:16) და ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე I ადგილი მოიპოვეს.

რამდენიმე მარცხის შემდეგ, როგორც იქნა გაიმარჯვეს თბილისელმა სტუდენტებმა. მათ მოუგეს ლიდერთა ჯგუფში მყოფ „კუნცევოს“ — 21:17 (10:7).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ცსკა — მეტალურგიული ინსტიტუტი — 24:25 (12:15), ასკ — „ალუმინსტროი“ — 20:20 (11:11).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაც. ინსტ. | 21 | 0 | 2 | 664:539 | 42 |
| „კუნცევო“ | 14 | 2 | 7 | 548:541 | 30 |
| ცსკა | 13 | 2 | 8 | 574:506 | 28 |
| მეტ. ინსტ. | 11 | 4 | 8 | 521:484 | 26 |
| ასკ | 9 | 6 | 8 | 511:505 | 24 |
| „ალუმინსტროი“ | 7 | 2 | 14 | 492:549 | 16 |
| ფიზ. ინსტიტუტის სპორტკლუბი | 4 | 2 | 17 | 481:580 | 10 |
| „ბურევესტნიკი“ | 4 | 0 | 19 | 492:579 | 8 |

● ბიტოლა, 23 ივნისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. მასპინძლებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ შემთხვევით არ არიან მსოფლიო ჩემპიონები. შეჯიბრების ბოლო დღეს მათ დაამარცხეს რუმინელები ანგარიშით 14:6 (8:5) და I ადგილზე გავიდნენ. საბჭოთა ხელბურთელებმა მოუგეს გდრ-ის წარმომადგენლებს — 16:10 (11:5) და II ადგილი მოიპოვეს. III ადგილზე დარჩნენ რუმინელები.

# 400 მეტრი — 49,9 წამში!

ვარშავა, 23 ივნისი. ი. კუსოჩინსკის მემორიალში ბრწყინვალე შედეგი აჩვენა სახელმოხვეჭილმა პოლონელმა მორბენალმა ქალმა ი. შევინსკამ. მან 400 მეტრი 49,9 წამში გაირბინა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# მინსკის გაკვეთილები

ხმლით მოფარიკავეთა საკავშირო ტურნირი საუკეთესო გაკვეთილი იყო ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისთვის. აქ არ ყოფილა მშვიდი, აუღელვებელი, დრამატიზმს მოკლებული ბრძოლები, სადაც ზოგიერთი მოფარიკავე ერთგვარ შეღავათს ღებულობს მაღალი კლასის მეტოქეებისგან. მით უფრო სასიხარულოა, რომ ქართველ ქაადრონისტთა შორის თ. ესართიას გარდა არ აღმოჩნდა არც ერთი მოფარიკავე, რომელიც მძაფრ შეხვედრებში უკან დაიხევდა. და მე დავინახე ხმლით მებრძოლთა მომავალი ნაკრები გუნდის, უნდა ითქვას, საკმაოდ ძლიერი კოლექტივის კონტურები. ამ გუნდმა ჩვენი რესპუბლიკის სახელი უნდა დაიცვას ხალხთა სპარტაკიადაში.

სამწუხაროდ, ჩემპიონატში არ ჩანდა რესპუბლიკის დაშნით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის კონტურები, რადგანაც, უბრალოდ, არც ერთი ჩვენი სპორტსმენი ამ სახეობაში არ გამოსულა. მაშ, მოდით, ვიდრე დაშნით მებრძოლთა ტურნირზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით ჩვენი ფარიკაობის მტკივნეულ პრობლემებსაც შევეხოთ. ერთი სიტყვით, პრობლემა ლაკონიურად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: რა მდგომარეობაა დაშნით ფარიკაობაში? მინსკის ჩემპიონატი ცალკეულ სპორტსაზოგადოებათა პირველობა, ესე იგი, საუწყებო შეჯიბრება იყო. განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ ვერც ერთ საუწყებო ნაკრებში ჩვენი დაშნით მოფარიკავეები ვერ მოხვდნენ, უფრო მეტიც, არც ერთი მათგანი პირად ტურნირში მონაწილეობის ღირსადაც კი არ ჩათვალეს. ეს უკვე მეტისმეტია, ამაზე უკან დახევა, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ეტყობა, სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს ჯერაც არ გაუგონიათ მოახლოებული სპარტაკიადის მაუწყებელი ზარი, რომელიც რატომღაც მხოლოდ სხვებისთვის რეკავს. გარდა ამისა ეს ნიშნავს, რომ ნებაყოფლობით უარი ვთქვათ დაშნით მებრძოლთა საკავშირო სპარტაკიადაში რაიმე წარმატების მოპოვებაზე. ეს კი ქულების განიავებას ნიშნავს. ჩვენი აზრით, ის, რომ ჩვენი დაშნით მებრძოლები მინსკის ჩემპიონატში არ გამოსულან, მათთვის უკვე თავისთავად საუკეთესო, თანაც საპასუხისმგებლო გაკვეთილია.

ახლა თვად ტურნირის შესახებ. სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში დაშნით ფარიკაობაში უდიდესი ძვრები მოხდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, დაშნით ფარიკაობა სწორედ ის სახეობაა, სადაც ტრადიციულად, ყველაზე მეტად „იმღვრევა წყალი".

მხოლოდ ერთი სპორტსმენი აღუდგა წინ ჟამთა სიავეს, ანუ ფავორიტების გაწბილების რეციდივებს. ეს იყო კიეველი გრიგოლ კრისი, კაცი, რომელიც თერთმეტი წლის მანძილზე ფარიკაობის ყველაზე პირქვეულ სახეობაში ზედიზედ გადიოდა საკავშირო ჩემპიონატების ფინალში. აქედან ექვსჯერ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი, ხოლო ოთხჯერ ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები ერგო. ვინც სულ ოდნავ მაინც არის ჩახედული ფარიკაობაში, მისთვის ეს ფანტასტიკური, ჭეშმარიტად განუმეორებელი შედეგია. განცვიფრება მერე ნახეთ, თუ კი ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ კრისმა ამ პერიოდში მიიღო ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს დაშნა და დაისაკუთრა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი, ხოლო ვენაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჭეშმარიტად არა აქვს საზღვარი ცალკეული ფეხბურთელების შესაძლებლობებს. რატომ გავამახვილეთ ყურადღება კრისის მიერ განვლილ სპორტულ გზაზე? იმიტომ, რომ მინსკში თერთმეტი წლის მანძილზე პირველად შეწყდა მისი ტრიუმფული სვლა. კრისი ფინალს მიღმა დარჩა...

ვის შეეძლო მინსკის ჩემპიონატში კიდევ უფრო დიდი სენსაცია მოეხდინა? ეს შეძლო ბორის იოფემ, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ტალანტულმა სპორტსმენმა. ამას კი, გულწრფელად ვამბობ, არავინ მოელოდა. იოფეს შეძლო თითქმის შეუძლებელი, მან ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე „ჰანგმირა" მსოფლიო კლასის მოფარიკავეები ვალეტოვი, ვიტებსკი, რასოლკო, პარამონოვი, მოძოლევსკი, ლუკომსკი... მისი გრძელი ხელები გამუდმებით პოულობდნენ მეტოქის მკერდს და ერთი შეხედვით არ იყო ძალა, რომელიც მის ჭაბუკურ ენერგიას შეანელებდა. მეტოქეები, მრისხანე მეტოქეები? ისინი „გადაყვნენ" ერთმანეთის თვალთვალს, ტაქტიკურ წიაღსვლებს, აკადემიურ მანერას. მაგრამ მოვიდა იოფე, დაურიდებლად შეიჭრა „უკვდავთა" რიგებში და, როგორც იტყვიან, ქვა ქვაზე არ დატოვა.

ახალი ჩემპიონი თვით ტანმაღალ დაშნით მოფარიკავეებში გამოირჩევა. იგი 190 სანტიმეტრი სიმაღლიდან დასცქეროდა მეტოქეებს. ხელები ჩვეულებრივზე გრძელი აქვს, მაგრამ საოცრად პლასტიკური და ელასტიკური. ვერ იტყვი, რომელ ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას — ელვისებურ იერიშებს, თუ ფრთხილ დაცვას. მისი შესრულებით ორივე უნაკლოა. ერთი სიტყვით, ტალანტულმა მუშკეტერმა მიაგნო ფარიკაობის ის ოქროს შუალედი, რომელსაც სპორტსმენი ამ სახეობაში ძნელად, გაცილებით მოწიფულ ასაკში პოულობს.

სენსაციაა? ორმაგი სენსაცია, რადგანაც იოფე თვით მინსკის ჩემპიონატში „დინამოს" ნაკრებშიც კი არ შეიყვანეს... სხვათა შორის, დაშნით ფარიკაობა სწორედ ის სახეობაა, სადაც საბჭოთა საფარიკაო სკოლა მსოფლიოში ხშირად თმობს მოწინავე პოზიციებს. ჩემპიონატმა რაიმე სასიხარულო და დასაიმედებელი შედეგები ვერ მოგვცა. კარგია, როცა ლიდერთა შორის გაუთავებელი „აურზაურია", როცა ემხობა ამა თუ იმ მოფარიკავის ჰეგემონია, ეს ახლის, პროგრესულის მომასწავებელია. მაგრამ გადამეტებული ორომტრიალი საფარიკაო ელიტაში კლასის ერთგვარ დაქვეითებაზეც მიგვანიშნებს. დარწმუნებული ვარ, ახლაც ნაკრების შემადგენლობა სტაბილური არ იქნება და გუნდი თითქმის თავიდან დაკომპლექტდება. გაუთავებელი ექსპერიმენტები კი მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სახელისთვის ბრძოლაში წარმატების საწინდარი როდია.

კარგა ხანია ქალთა საკავშირო ტურნირები თავისებურ მსოფლიო ჩემპიონატებად იქცა. ორიოდე უცხოელი რაპირისტიც რომ დამატებოდა მონაწილეებს, სამყაროს ჩემპიონატი მინსკში გაიმართებოდა. დიახ, უკანასკნელ წლებში საბჭოთა მოფარიკავე ქალებმა მტკიცედ იგდეს ხელთ სპორტის ამ სახეობის სადავეები და ახლოსაც არ აკარებენ მას სხვა სკოლების წარმომადგენლებს.

ყველას აინტერესებდა ერთი რამ: გაიმარჯვებდა თუ არა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ყაზანელი ვალენტინა ნიკონოვა მინსკის ჩემპიონატში? ეს ლიტონი კითხვა არ არის, როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონებს „საშინაო" ტურნირებში ბედი არ სწყალობთ. ნიკონოვამ გაიმარჯვა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით. საამისოდ მას მოუხდა დამატებითი ბრძოლების ჩატარება სხვა ტიტულოვან მეტოქეებთან — მინსკელ ვ. ბელოვასთან და მოსკოველ ვ. ზოლოტოვასთან. იშვიათი კომპანიაა, არა? ნიკონოვამ მოიგო საბოლოოდ ტურნირი, მაგრამ გამარჯვებასთან ახლოს იდგნენ მისი მრისხანე მეტოქეები.

მგონი გავერთეთ პრიზიორთა შეჯიბრების აღწერით და კინაღამ დაგვავიწყდა ჩვენი დალი ბუხრაშვილი. დალი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გავიდა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში და დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს ქადილისა. და აი, მინსკის საკავშირო ჩემპიონატში, რომელშიც ყველაზე დაძაბული, უშეღავათო ბრძოლები სწორედ ქალებმა გამართეს, ბუხრაშვილმა კვლავ მოახერხა გასულიყო ნახევარფინალში.

მინსკის ჩემპიონატი წინა წლების შეჯიბრებებისგან მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩეოდა. უფრო პირიქით იყო, ტურნირში 60 სპორტსმენი გამოდიოდა (სხვა შეჯიბრებებში — გაცილებით მეტი), მაგრამ სწორედ ამ გარემოებამ ბრძოლა პირველივე საფეხურიდანვე გაამწვავა, ვინაიდან სუსტი ჩემპიონატში არავინ იყო.

მეცხრე ადგილი ასეთ დიდ შეჯიბრებაში ახალგაზრდა სპორტსმენის უდავო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობ, ბუხრაშვილმა კიდევ უფრო უნდა ირწმუნოს თავისი ძალები, უფრო უნდა გამრავალფეროვნდეს მისი ტაქტიკურ-ტექნიკური არსენალი. მაშინ იგი დიდ სპარტაკიადაში ალბათ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიწევს.

სამწუხაროდ, მინსკის საფარიკაო ბილიკზე ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკიდან ბუხრაშვილის გარდა არავინ გამოსულა.

მხოლოდ ერთი მონაწილით იყო წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკა რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრებაშიც. არ ვიცი, „მარტოობის" გრძნობამ იმოქმედა თუ სხვა რაიმე ფაქტორმა სოხუმელ მერაბ კარტოზიაზე, რომელიც წარუმატებლად გამოვიდა. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მისგან მაინცდამაინც დიდ შედეგებს არ ველოდით, მაგრამ ასპარეზობის პირველივე საფეხურზევე მოგვცაროს ხელი, ეს უკვე აშკარა მოუმზადებლობას ნიშნავს. ვფიქრობ, ესეც გაკვეთილად უნდა გამოადგეთ ფარიკაობის მესვეურთ.

მკითხველისთვის ცნობილია, — თუ ვინ გაიმარჯვა რაპირისტ ვაჟთა ჩემპიონატში, ამიტომ მინსკელ ალექსანდრე რომანკოვზე აღარ შევჩერდები. ერთს კი ვიტყვი, რომ ფარიკაობის ამ სახეობაში ქვეყნის ნაკრებში თაობათა ცვლა მიმდინარეობს, ამიტომ არავითარმა სიურპრიზმა არ უნდა გაგვაკვირვოს.

ერთი სიტყვით, მინსკის ჩემპიონატმა დაგვანახვა, როგორ ემზადებიან მომავალი სპარტაკიადისთვის მოძმე რესპუბლიკების მოფარიკავეები. დიახ, ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი საქართველოს მუშკეტერთა სპარტაკიადისწინა წვრთნა-ვარჯიშისთვის.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი,
(ჩვენი სპეც. კორ.).
მინსკი — თბილისი.



# დამაბულობა არ ცხრება

ნიცაში გრძელდება XXI საჭადრაკო ოლიმპიადა. ყურადღების ცენტრშია მთავარი ფინალის შეხვედრები.

VII ტურში საბჭოთა დიდოსტატები შეხვდნენ შვეციის გუნდს. იმავე დღეს დამთავრდა მხოლოდ უ. ანდერსონ — ა. კარპოვის პარტია. მას შემდეგ, რაც კარპოვმა პოზიცია გაათანაბრა, მოგებისთვის თამაშის საშუალება აღარ იყო. ამიტომ მეტოქენი დაზავდნენ.

ბ. სპასკი — ა. ორნშტეინის შეხვედრა, რომელიც მეფის გამბიტით დაიწყო, დაუმთავრებელი დარჩა. სპასკის უარესი პოზიცია ჰქონდა. ტ. პეტროსიანმა მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია დ. უდენფელდთან, საყაიმო მდგომარეობაში შეწყდა მ. ტალ — მ. კინმარკის შეხვედრა.

გფრ-ის მოჭადრაკეებმა მოუგეს ესპანეთის გუნდს — 2,5:1,5. სხვა მატჩების ანგარიში ასეთია: არგენტინა — ფინეთი 2:1 (1), ჰოლანდია — ბულგარეთი 1:1 (2), ინგლისი — ფილიპინები 0:0 (4), უელსი — უნგრეთი 0:3 (1), აშშ — რუმინეთი 1:1 (2), იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 1,5:0,5 (2).

გადადებული პარტიების დამთავრებისას პეტროსიანმა დაამარცხა უდენფელდი, ტალი ყაიმს შეურიგდა, სპასკიმ პარტია კვლავ გადადო. შვედი ოსტატი ორნშტეინი უკეთეს პოზიციას ინარჩუნებს. ჯერჯერობით სსრ კავშირ — შვეციის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 2:1 და 1 გადადებული პარტია.

VIII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდები. კარპოვმა (თეთრები) ენერგიული თამაშით 45-ე სვლაზე მოუგო ლ. კავალეკს. ვ. კუზმინი უ. ლომბარდისთან ყაიმს დასჯერდა. ორი პარტია გადაიდო. ყაიმია მოსალოდნელი რ. ბირნ — ვ. კორჩნოის პარტიაში, პეტროსიანი უგებს უ. ბრაუნს.

დანარჩენი მატჩების შედეგები: ჩეხოსლოვაკია — უელსი 2,5:1,5, იუგოსლავია — ინგლისი 1:1 (2), ბულგარეთი — არგენტინა 1:1 (2), უნგრეთი — რუმინეთი 0,5:0,5 (3), გფრ — ფილიპინები 1:1 (2), ჰოლანდია — ესპანეთი 1:0 (3), შვეცია — ფინეთი 1,5:1,5 (1).

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: სსრ კავშირი — 22,5 ქულა (3), იუგოსლავია — 20 (2), ბულგარეთი — 19,5 (2), უნგრეთი — 18,5 (3), აშშ — 17,5 (3).

* * *

სურათზე: ნიცის გამოფენათა სასახლე — XXI საჭადრაკო ოლიმპიადის სარბიელი.

კეისტონ — საკდუსის ფოტო.

დასასრული. იხ. „ლელო" № 123.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# მატჩის მოგება შეიძლებოდა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 23 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — 9:15 (6:3).

„ლოკომოტივი": მოდებაძე (ფეტვიაშვილი), ანთაძე (ქელბაქიანი), თემურ რუხაძე, ლიბრაძე, კემულარია, ბუგიანიშვილი, დოლიძე, ზენდიაშვილი, კილასონია, მიქაბერიძე, გეგეშიძე, მგელაძე, ულენტი (ცინცაძე), თენგიზ რუხაძე (ცხვედიანი), კაპანაძე.

„ბურევესტნიკი": ალექსეევი (აბალუევი), სმირნოვი, სმუხინი (დმიტრიევი), ორეხოვი, ხაშმაკოვი, ხარლამოვი, ლარხკინი, კრავეცი, კროკოპოვიჩი, გულნიცკი, ჩისტიაკოვი (უსანოვი), რუმიანცევი, შმაკოვი, ვიშევნიკი (ბარაბანოვი), კისელიოვი.

მსაჯი ლ. დანილოვი (მოსკოვი).

შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა. მასპინძლებს, რომლებმაც წინა სამივე შეხვედრა წააგეს, უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, სტუმრებს კი ლიდერთა შორის პოზიციების განმტკიცებისთვის 2 ქულა აუცილებლად სჭირდებოდათ. უშეღავათო ბრძოლაც ამან განაპირობა.

ეტყობა, ლენინგრადელები იოლ გამარჯვებას ვარაუდობდნენ, მაგრამ მერე, რკინიგზელთა მხრიდან მძაფრ წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, დაიბნენ. „ლოკომოტივი" ბევრად უკეთესად თამაშობდა. ამ გუნდმა თითქმის ყველა აუტი მოიგო, მისი გადაცემები უფრო ზუსტი იყო და უპირატესობასაც თანდათან დაეუფლა. შეხვედრა იმდენად კორექტულად მიმდინარეობდა, რომ პირველი შერკინება თბილისელთა სასარგებლოდ მხოლოდ მე-14 წუთზე დაინიშნა.

მაგრამ თბილისელთა თამაშში მაინც არ ჩანდა კომბინაციების დამამთავრებელი ფაზა, განსაკუთრებით მარაოს გაშლის დროს. რკინიგზელები ამ ილეთს კარგად ასრულებდნენ, სანამ მეტოქის ჩათვლის მოედანს მიუახლოვდებოდნენ, გადამწყვეტ მომენტში კი, როცა ლენინგრადელთაგან თითქმის აღარავინ ელობებოდათ გზაზე, კარგად მოწოდებული ბურთი ხელიდან უვარდებოდათ. ასე დაიკარგა მეტოქის ჩათვლის მოედანზე შეჭრის, სულ ცოტა, ხუთი შესაძლებლობა.

მაგრამ მატჩის მოგება მაინც შეიძლებოდა, მატჩის 48-ე წუთზე მასპინძლებს „ლოკომოტივის" მოედნის ცენტრში უხეშად რომ არ ეთამაშათ. ამას ჯარიმა მოჰყვა, რაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რუმიანცევმა ზუსტად გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. ამან სტუმრებს რწმენა შემატა, მასპინძელთა რიგებში კი ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა.

თავდაპირველად ანგარიში „ბურევესტნიკმა" გახსნა — 23-ე წუთზე რუმიანცევმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა გოლი. შესვენებამდე 8 წუთით ადრე დოლიძის გადაცემის შემდეგ კემულარიამ ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში დადო, კილასონიამ კი რეალიზაცია გამოიყენა და ანგარიში გახდა 6:3 თბილისელთა სასარგებლოდ.

რკინიგზელთა საბედისწერო შეცდომის მერე 10 წუთი იყო გასული, როცა რუმიანცევმა თავისი გუნდი დააწინაურა, რასაც მალე მოჰყვა გულნიცკის გარღვევა და რეალიზაციის გამოყენება. თბილისელებმა ანგარიშში სხვაობა კილასონიას მიერ დარტყმული საჯარიმოთი შეამცირეს.

„ლოკომოტივს" კრახი ემუქრება. ამ კარგი ტრადიციის მქონე გუნდს დახმარება სჭირდება. რეგბისტებსაც დაცვისა თუ იერიშის დროს მეტი პასუხისმგებლობა მართებთ, თორემ შესაძლოა გუნდი უმაღლეს ლიგას გამოეთიშოს.

რ. მალრაძე.

ასე დამთავრდა: ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „განთიადი" (თბილისი) 15:0 (3:0), „ფილი" (მოსკოვი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი) — 7:4 (7:4), სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი (კიევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 30:0 (6:0).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საიი (კიევი) | 4 | 4 | 0 | 0 | 81:13 | 8 |
| „ფილი" | 4 | 4 | 0 | 0 | 59:30 | 8 |
| „ბურევესტნიკი" | 4 | 3 | 0 | 1 | 67:35 | 6 |
| სსა (მოსკ. ოლქი) | 4 | 3 | 0 | 1 | 31:10 | 4 |
| „ლოკომოტ." (მ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 46:67 | 2 |
| „ავტომობილისტი" | 4 | 1 | 0 | 3 | 26:40 | 2 |
| „ლოკომოტ." (თბ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 13:59 | 0 |
| „განთიადი" | 4 | 0 | 0 | 4 | 13:82 | 0 |



## გფრ — გდრ 0:1

ავსტრალიის ფეხბურთელებთან გამარჯვების შემდეგ ევროპის ჩემპიონი გუნდის კაპიტანს ფ. ბეკენბაუერსა და მთავარ სელექციონერს ჰ. შიონს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. კონფლიქტის მიზეზი გახდა გულშემატკივრებისა და პრესის დამოკიდებულება გუნდის მიმართ. შიონი უფრო თავდაჭერილი კაცია და მან ყური არ ათხოვა გუნდის მისამართით გამოთქმულ მწარე შენიშვნებს. ბეკენბაუერი კი აჰყვა კრიტიკას და თანაგუნდელების სუსტი თამაში მთლიანად მწვრთნელსა და მის მიერ დამყარებულ მკაცრ რეჟიმს დააბრალა.

წვრთნის საკითხებში შიონმა უკან დახევა არ იცის — იგი თამაშის წინა დღესაც კი ორჯერად ვარჯიშს ატარებს. სწორედ ამან აიძულა ბეკენბაუერი გულისტკივილით ეთქვა: „მეშინია ჩვენი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი არ გახდეს..., მხოლოდ წვრთნაში".

გდრ-ის გუნდთან თამაშის წინ ბეკენბაუერი და შიონი ფორმალურად შერიგდნენ. კაპიტანმა გაზეთის საშუალებით ბოდიშიც კი მოუხადა გულშემატკივრებს, რომლებიც მანამდე გალანძღა. მაგრამ ვერც ერთმა ამ ნაბიჯმა ვერ აღადგინა ევროპის ჩემპიონის საბრძოლო სულისკვეთება. უფრო მეტიც, გდრ-ის გუნდთან შეხვედრაში ევროპის ჩემპიონი დაემარცხდა (გოლი გაიტანა შპარვასერმა).

## ჩილი — ავსტრალია 0:0

ამ შეხვედრის შედეგს არავითარი „სატურნირო მნიშვნელობა" არ ჰქონდა ავსტრალიელებმა კარგად ითამაშეს. ისინი ბევრს მოძრაობდნენ, შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი მეტოქის კართან, მაგრამ ყველაფერი „მშვიდობიანად" დასრულდა. ჩილიმ გასაღები ვერ მოუნახა მოწინააღმდეგის მასირებულ დაცვას და სწორედ ეს გახდა „მშრალი" ანგარიშის მიზეზი.

## ბრაზილია — ზაირი 3:0

მსოფლიო ჩემპიონმა მთავარი ამოცანა მათემატიკური სიზუსტით გადაწყვიტა. 3:0, არც მეტი, არც ნაკლები. რა არის ამ სიზუსტის საფუძველი, ძნელი გასაგებია, მაგრამ ცხადია, რომ ბრაზილიელებმა სასწორზე შეაგდეს თავიანთი მდგომარეობა და პრესტიჟი. აბა წარმოიდგინეთ, ზაირის ფეხბურთელებს თუნდაც შემთხვევით რომ გაეტანათ გოლი, ხომ დარჩებოდნენ ბრაზილიელები ფინალური ბრძოლების მიღმა? ამიტომ, თუ ძალა შესწევდათ, ერთი ბურთი მაინც უნდა ჰქონოდათ მარაგში.

პირველი გოლი მეტოქის კარში გაიტანა ჟაირზინიომ (მე-12 წუთზე). ამის შემდეგ მთელი 55 წუთის მანძილზე ბრაზილიელებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გაზრდა. მაგრამ არც რიველინოს ლამაზი გოლი (67-ე წუთზე) ნიშნავდა მსოფლიო ჩემპიონისთვის ხსნას. ნამდვილი გამარჯვება მოვიდა მხოლოდ მე-80 წუთზე ვალდომიროს ზუსტი დარტყმის შემდეგ.

## იუგოსლავია — შოტლანდია 1:1

... გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება! ამ დევიზით დაიწყეს თამაში შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა და მატჩის ბოლო, 90-ე წუთამდე არ შეუცვლიათ ნახაზი. სხვაგვარი შედეგი მათ ხელს არ აძლევდათ.

მართლაც, შოტლანდიის გუნდი მთელი მატჩის მანძილზე უტევდა. მან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუნელებია ტემპი, არ დაუკარგავს რწმენა. და მაინც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ დროს, პირველი გოლი სწორედ მის კარში გავიდა. ეს მოხდა შეხვედრის 82-ე წუთზე, კარასის დარტყმის შემდეგ. შოტლანდიელებმა საპასუხო გოლი 88-ე წუთზე გაიტანეს (ჯორდანი).

## ჰოლანდია — ბულგარეთი 4:1

X მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდი ჰოლანდიის ნაკრებია. მაგრამ პოპულარობა მეტწილად გულშემატკივრების სუბიექტური შეხედულებების შედეგად იქმნება. მაყურებლებს მოსწონთ ჰოლანდიელი ფეხბურთელების შემტევი, აგრესიული თამაში, რომელიც მუდამ აღსავსეა საინტერესო, სანახაობრივი ფეხბურთისთვის დამახასიათებელი მომენტებით. ჰოლანდიის ნაკრების პოპულარობაც სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა.

მაგრამ ჯგუფური ტურნირის შემდეგ პოპულარული გუნდი ერთბაშად ფავორიტად იქცა. ეს კი ბევრს ნიშნავს. ფავორიტს უკვე სპეციალისტები ასახელებენ ჩატარებულ შეხვედრათა ანალიზის საფუძველზე. ამ ანალიზის შედეგები კი ერთობ მეტყველია.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბულგარეთის კარში გატანილი 4 გოლი ჰოლანდიის თავდამსხმელთა დიდ პოტენციალზე მეტყველებს. ჰოლანდიელებმა დამაჯერებლად დაიკავეს I ადგილი ჯგუფში და საგოლე მომენტების რაოდენობით ბევრად ჩამოიტოვეს X მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილე. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, მაყურებლებსა და სპეციალისტებსაც ხიბლავს გუნდის მსუბუქი, ძალდაუტანებელი და ეწვავე თამაში. ერთი დასავლეთგერმანელი ჟურნალისტის აღიარებით „ჰოლანდიელები ულტრათანამედროვე ფეხბურთის ფუძემდებლები არიან. გუნდის ყველა წევრი გოლის გატანის სურვილითაა შეპყრობილი, მაგრამ ეს სურვილი მკაცრი ლოგიკური კანონებით ემორჩილება კოლექტივის საერთო ინტერესებს".

## ურუგვაი — შვეცია 0:3

შვედებმა ორი ნულოვანი ფრეს შემდეგ 3 გოლი გაიტანეს და დაიბევეს კიდეც ადგილი ფინალისტთა შორის. ბოლოს და ბოლოს გამართლდა გუნდის მწვრთნელ გ. ერიკსონის სიტყვები: „ჩემი დუეტი — ედსტრიომი — სანდბერგი საუკეთესოა ამ ჩემპიონატში". შვედურმა დუეტმა მართლაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მთავარ ამოცანას. მაგრამ ამ მატჩში ქებას მხოლოდ იგი როდი იმსახურებს. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა და მეტოქეს თავიდანვე გადაუწურა იმედი.

## ჰაიტი — არგენტინა 1·4

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი მიუნხენში ჩატარდა, არგენტინის ფეხბურთის სპეციალისტთა უმრავლესობა შტუტგარტში იყო პოლონეთისა და იტალიის გუნდების თამაშის სანახავად. არგენტინის ნაკრებს ფინალში გასვლის თეორიული შანსიღა ჰქონდა და ისიც ჩაებღაუჭა ამ შანსს. მაგრამ მისგან ცოტა რამ იყო დამოკიდებული: არგენტინელთა ბედი შტუტგარტში წყდებოდა.

თავისი გეგმა არგენტინის გუნდმა გადაჭარბებით შეასრულა. ჯგუფური ტურნირის ბოლო მეტოქე — ჰაიტი დაამარცხა ანგარიშით 4:1. როცა გამარჯვებული არგენტინელები მინდორს ტოვებდნენ, უკვე იცოდნენ, რომ ფინალში თამაშის უფლება მოპოვებული ჰქონდათ. მიუნჰენსა და შტუტგარტს შორის კავშირი იყო დამყარებული.

## იტალია — პოლონეთი 1:2

შტუტგარტში კი ამ დროს მართლაც გაუგებარი რამ ხდებოდა. თუმცა, რატომ გაუგებარი, როცა პოლონეთის გუნდმა, ბოლო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, თავიდანვე დაიმსახურა სპეციალისტთა საერთო მოწონება და ერთხმად ჩაირიცხა ფავორიტთა რიგებში. პოლონელებმა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან — იტალიასთან შეხვედრაშიც დაამტკიცეს, რომ სამართლიანად ატარებენ ევროპული ფეხბურთის ლიდერის სახელს.

ამ მატჩში იყო მხოლოდ ერთი ფავორიტი, ერთი ძალა, რომელმაც თავიდანვე ხელთ იგდო ბრძოლის სადავეები და ბოლომდე შეინარჩუნა იგი. გოლები, რომლებიც პირველი ტაიმის მიწურულში გავიდა ა. შარმაჩისა და დეინას ზუსტი დარტყმების შემდეგ, ოლიმპიური ჩემპიონის უდავო უპირატესობის ლოგიკური გვირგვინი იყო.

ვერც მანამდე და ვერც მერე იტალიელებმა ვერ შეძლეს მდგომარეობის შეცვლა. ოლიმპიურ ჩემპიონს ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ ბრძოლის აზარტში შესულმა თავისი რეპუტაციის განსამტკიცებლად მხოლოდ გამარჯვების გზით სიარული ისურვა და მაღლწია კიდეც მიზანს. გოლი, რომელიც პოლონელთა კარში შესვენების შემდეგ გავიდა (კაპელო), იტალიელთათვის პრესტიჟის გოლი იყო. ბრძოლის საერთო სურათი მას არ შეუცვლია.

### ჯგუფური ტურნირების საბოლოო ცხრილები

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გდრ | 3 | 2 | 1 | 0 | 4—1 | 5 |
| გფრ | 3 | 2 | 0 | 1 | 4—1 | 4 |
| ჩილი | 3 | 0 | 2 | 1 | 1—2 | 2 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 0—5 | 1 |

II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | 0 | 10—1 | 4 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 3—0 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| ზაირი | 3 | 0 | 0 | 3 | 0—14 | 0 |

III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 6—1 | 5 |
| შვეცია | 3 | 1 | 2 | 0 | 3—0 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2—5 | 2 |
| ურუგვაი | 3 | 0 | 1 | 2 | 1—6 | 1 |

IV ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 12—3 | 6 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 7—5 | 3 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5—4 | 3 |
| ჰაიტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2—14 | 0 |

## ს. კვანჭახაძე



გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი სულიკო ელისეს ძე კვანჭახაძე.

სპორტული ნათლობა ს. კვანჭახაძემ მიიღო საქართველოს სპორტის ფუძემდებლების გ. ეგნატაშვილისა და გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. ისინი მოხიბლული იყვნენ თავიანთი მოწაფის სიბეჯითით.

1923 წლიდან დაწყებული პენსიაში გასვლამდე ს. კვანჭახაძე სათავეში ედგა ხაშურის პროფკავშირის საუბნო კომიტეტის სპორტულ სექციას. მან ბევრი რამ გააკეთა რკინიგზის საკვანძო სადგურებში — ქიათურაში, ზესტაფონში, შორაპანში, გორში ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციისა და ფართოდ გაშლისთვის. 1924 წლის მაისში ს. კვანჭახაძემ მოამზადა მუშა-ახალგაზრდობა და მოსწავლეები და მოაწყო პირველი მასობრივი ფიზკულტურული გამოსვლა ხაშურში. სამი წლის შემდეგ ხაშურის უბნის მასშტაბით მან გამართა რკინიგზელ სპორტსმენთა შეჯიბრება მძლეოსნობაში.

თავდადებული და უანგარო მუშაკის მუყაითი შრომა სათანადოდ დაფასდა. 1959 წელს ს. კვანჭახაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება და დაენიშნა პერსონალური პენსია. იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით, მიღებული ჰქონდა მრავალი სიგელი.

ს. კვანჭახაძეს არ დაივიწყებენ მისი მეგობრები და აღზრდილები.

ამხანაგების ჯგუფი.

## თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ...

ახლა, როცა ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდა, გარკვევით შეიძლება ლაპარაკი იმ გუნდებზე, რომლებსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის უმაღლესი ჯილდოსთვის ბრძოლის შანსი აქვთ.

ჯგუფური ტურნირების შემდეგ შეიქმნა ფინალისტთა ორი კვარტეტი „ა" და „ბ" ჯგუფები, რომლებიც წრიული სისტემით განაგრძობენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისთვის. დანარჩენი გუნდებისთვის კი... დასრულდა მზადებისა და მღელვარების ოთხწლიანი ციკლი.

„ა" ჯგუფში გაერთიანდნენ შემდეგი გუნდები: გდრ, ჰოლანდია, ბრაზილია და არგენტინა, „ბ" ჯგუფში — იუგოსლავია, პოლონეთი, გფრ და შვეცია.

როგორც ხედავთ, ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ ევროპულ გუნდებს. ძველი სამყარო საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის მეორე ეტაპზე 6 ქვეყნითაა წარმოდგენილი (მათ შორის 3 სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელია).

სამხრეთამერიკული ფეხბურთის ბატონობის ხანა, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, დროებით შეწყდა. ის, რომ ამ კონტინენტიდან უმაღლესი საფეხბურთო ჯილდოსთვის დავას ორად ორი კანდიდატი განაგრძობს, რა თქმა უნდა, ბრძოლის წაგებას ნიშნავს, მით უმეტეს, რომ ვერც ბრაზილიამ და ვერც არგენტინამ ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვება ვერ მოიპოვეს.

სამხრეთამერიკელთა პოზიციის შესუსტებაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ ამ ჩემპიონატში მათი ფინალში შეხვედრა თეორიულადაც გამორიცხულია.

## 26 ივნისს ითამაშებენ...

**ჰოლანდია — არგენტინა.** ჰოლანდიელებმა მხოლოდ 1 ქულა დაკარგეს ჯგუფურ ტურნირში (ფრე შვეციასთან) და, სპეციალისტთა საერთო აღიარებით, მსოფლიოს X ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებიან. არგენტინელებმა რის ვაი-ვაგლახით მოიპოვეს ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება. მათი უპირატესობა (იტალიელებთან) ერთადერთი გოლით გამოიხატა.

**ბრაზილია — გდრ.** მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის მიერ ჯგუფში დაკავებული II ადგილი, მეტი რომ არა ვთქვათ, შეუფერებელია ამ გუნდისთვის, მით უმეტეს, რომ ბრაზილიელებმა პირველი გოლი მხოლოდ ზაირის ნაკრებთან შეხვედრაში გაიტანეს. გდრ-ს ეკუთვნის X მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია. ევროპის ჩემპიონი (გფრ) დაამარცხა შინ და ჯგუფურ ტურნირში II ადგილზე დატოვა.

**იუგოსლავია — გფრ.** იუგოსლაველები ჯერჯერობით II ადგილზე არიან გატანილი გოლების რაოდენობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდის თავდამსხმელები ყველა მეტოქისთვის საშიშ ძალას წარმოადგენენ. გფრ, რა თქმა უნდა, შეეცდება მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების თვალში ავტორიტეტი აღიდგინოს, მაგრამ ევროპის ჩემპიონს ჯერჯერობით აშკარად არ გამოსდის თავდასხმაში თამაში.

**შვეცია — პოლონეთი.** შვედები კმაყოფილი არიან ჯგუფური ტურნირის შედეგით. სხვათა შორის, ამ ქვეყნისა და ბრაზილიის ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს დაცვაში. ამ ორ გუნდს ჯერჯერობით არც ერთი გოლი არა აქვს მიღებული. პოლონეთის ნაკრების წარმატებები ყველასთვის ცხადია. ოლიმპიური ჩემპიონი ერთადერთი გუნდია, რომელმაც ჩემპიონატის პირველ სტადიაში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა — სამივე მატჩი მოიგო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„ლოკომოტივის"
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის
ჩემპიონატი



დღეს
„დინამო" (თბილისი) —
„შახტიორი" (დონეცკი)
დასაწყისი 19 ს. და 30 წ.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 10682